82
ჩ-694

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მარიამ ჩიქოვანი

შინაგანი მეტყველების გამოხატვის ფორმები მხატვრულ ტექსტში (XVIII-XX ს.ს. ინგლისური ეპიკური პროზის მასალაზე)

10.02.04 – რომანულ-გერმანიკული ენათმეცნიერება

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2006

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **მაია ნათაძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.02.07)

ოფიციალური ოპონენტები: **რუსუდან ასათიანი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.02.07)

გურამ ლებანიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი (10.02.04)

დისერტაციის დაცვა შედგება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის P. 10.07. N7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე 2006 წლის 22 თებერვალს 13.00 საათზე.

მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, კორპ. 1, აუდიტორია №93.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (0143, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2).

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის 20 იანვარს.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი **რამაზ ქშარდაძე**

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе

-3053-

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება შინაგანი მეტყველების გამოხატვის ერთ-ერთი ფორმის **არასაკუთრივ-პირდაპირი ნათქვამის** (შემდეგში **აპნ**) სტრუქტურულ-ფუნქციურ კვლევას ინგლისური ეპიკური პროზის მასალაზე.

ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ადამიანის ცნობიერება ჩაბმულია გამუდმებული მოქმედების პროცესში (გარდა უსიზმრო ძილისა. მაშინაც ვინ იცის...). სიღრმისეულმა ფსიქოლოგიამ (ფროიდი, იუნგი) ცნობილი გახადა ის ფაქტი, რომ ადამიანის ცნობიერების, ასე ვთქვათ, „ზედაპირული" გაცნობიერებული შრეების მიღმა დაფარული ასოციაციური კავშირების, ზოგჯერ ბუნდოვანი შთაბეჭდილებების სახით არსებობს სხვა, მეორე გაუცნობიერებელი, სიღრმისეული შრე. ცნობიერების მოქმედების პროცესი მთლიანობაში ორივე ამ შრეს მოიცავს. ცნობიერი შრე არაცნობიერიდან მოსული იმპულსებით იკვებება.

ფსიქოლოგია თვლის, რომ ცნობიერი შინაარსები (ხე, ბუჩქი) ანუ ადამიანის მიერ გაცნობიერებული შინაგანი თუ გარეგანი სამყაროს მოვლენები მხოლოდ ვერბალური ფორმით არსებობს ჩვენს ცნობიერებაში, რომლებსაც, თავის მხრივ, გარეთ გამოვლენილი ანუ სენსომოტორულად გამოვლენილი, ხმამაღლა წარმოთქმული ბგერით-ინტონაციური სტრუქტურების ფორმა აქვთ (ანუ მეტყველების, ვერბალური ქმედების ფორმა).

ჩვენ შეგვიძლია ჩუმი აზროვნებაც, რომელსაც აგრეთვე ვერბალური ოღონდ ხმამაღლა გამოუთქმელი ფორმა აქვს და, რომელიც მხოლოდ ინტელექტუალურ-ლოგიკური პრობლემების გადაწყვეტას არ გულისხმობს. იგი ნებისმიერი მოვლენისათვის, მათ შორის გრძნობებისათვის სახელის დარქმევასაც ნიშნავს. სწორედ ყოველივე ამას — შთაბეჭდილებების, განცდების, გრძნობების გაცნობიერება-დაფიქსირებას ხმამაღლა გამოუთქმელად და მათ შორის ასეთივე სახის მიმართებების დამყარებას შინაგანი მეტყველება ეწოდება. შინაგანი მეტყველების პროცესი, რომელსაც ადამიანის ფსიქიკის მუშაობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს, რა თქმა უნდა, არ დარჩენილა მწერალთა ყურადღების მიღმა.

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი არის ცდა შინაგანი მეტყველების გამოხატვისათვის აუცილებელი ფორმების დაფიქსირებისა, მათი ფუნქციობის თავისებურებებისა და სტრუქტურის დეტალიზებული შესწავლისა.

ითვლება, რომ საზოგადოდ ენებს აქვთ შინაგანი მეტყველების გამოხატვის სამი ძირითადი ფორმა: პირდაპირი ნათქვამი, ირიბი ნათქვამი და **აპნ**. მართალია, ჩვენ განვიხილავთ სამივეს ცალ-ცალკე მათი ფუნქციობისა და მხატვრულ ლიტერატურაში გამოყენების თვალსაზრისით, მაგრამ მაინც განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ შინაგანი მეტყველების გამოხატვის იმ ფორმაზე, რომელიც ნაკლებადაა შესწავლილი — ესაა არის **აპნ**.